05/07/2022

თეა წულუკიანი ზარზმის მონასტრის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ზარზმაში იმყოფებოდა, სადაც არქიტექტორ-რესტავრატორ ტარიელ კიპაროიძესთან, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან (დიმიტრი ჭუაძე), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ აზნაურაშვილთან და მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორ დავით ტაბიძესთან ერთად, ზარზმის მონასტრის მდგომარეობას და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესს გაეცნო. ინფორმაციას კულტურის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, მინისტრმა მიიღო ინფორმაცია ზარზმის მონასტერში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რომლის პროცესშიც არქიტექტორ-რესტავრატორებმა ახალი დაზიანებული კერები გამოავლინეს. კერძოდ, ხარაჩოების მოწყობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბუნების ზემოქმედების შედეგად სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. შედგა შეთანხმება, რომ ძეგლის რეაბილიტაციის პროცესში, მუნიციპალური განვითარების

ფონდთან ერთად სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო აქტიურად ჩაერთვება.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ზარზმის მონასტერი სოფელ ზარზმაში, სამცხე-ჯავახეთის მხარის ადიგენის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და ის ეროვნული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. 2012 წლიდან, მონასტერში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრების შესაბამისად

1tv.ge